# სახალხო გაზეთი

№ 139 შაბათი, 23 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 139

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავაჯრე სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

ზრდის მიწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



კვირას 24 ოქტომბერს კუკის წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

ზაქარია (შაქრო) ზაალის ძის ზაალიშვილისა

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და მეგობართ დამწუხარი დედა პელაგია გიორგის ასული და მამიდა მისი ბარბარე ზაქარიას ასული ქართველიშვილისა

წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 12 საათზე. (1—164—1).

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 13.

შაბათს, 23 ოქტომბერს, 1910 წელს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

„მეგობრობა"

დრამა 4 მოქმედებად ნ. შიუკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: აბაშიძე ტ. კარგარეთელი ა. ლეჟავა ღ. ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: არადელი გ. გუნია ვ. ყიფიძე ი. მესხი კ. მგალობლიშვილი დ. შალიკაშვილი. ვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება. რეჟისორი ვ. გუნია.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ ხათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

კვირას, 24 ოქტომბერს, დიდუბეში ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს გაიმართება 11 საინტერესო კავკასიური

ჭიდაობა



იჭიდავებენ: 1. მიხაკა ქურხული და ქონდარ ნორიელი. 2. გიორგი დოთიაშვილი (გორელი) და მიხაკა პოდუბინი. 3. თედო კაკაშვილი და ვარლამ მომცემელიძე. 4. გახო კოშკელაშვილი (ნავთლუღელი) და ტატო მიდელაური. 5. გრიქულა ვარეშელოვი (ნავთლუხელი) და ილიკო აღდგომელაშვილი. 6. ალექსი ნაჩალოვკელი და ფილიპე მელაშვილი (მეპურე). 7. ირაკლი კახელი და კიმოთე გაგნიძე (მეპურე). 8. ხუსეინ ბაბა კიში ოგლი და აჰას ალი ამად ოგლი. 9. გიგუცა პოგრიშვილი და ვარდენ მერაბაშვილი. 10. მამედამინ ჩაფალოვი და ნაზარ მჭედელი. 11. არტემ გლდანელის მმისწული და განო გარეჯელი.

გარდა ამისა იჭიდავებს ჭიდაობის მოყვარულნი.

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი

საღამოს კრუგი განათებული იქნება. მიხაკა ქურხული ითხოვს კულა გლდანელს როდესაც უნდა.

შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოვიდა კავკასიელი 17 წლის ბავშვი

ლ ე ვ—ს ა მ ს ო ნ ი.

სასახლის მხაჩიობი მათი უმაღლესობის პერსიის შახის და კაროლ ავგანსკისა ალექსანდრე გეგეჭკორი. გეგეჭკორი ყველგან განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. თავისი მძიმე მუშაობისათვის მიღებული აქვს 15 ოქრ. და ვერცხლის ჟეტ. მენდალი. ეცადეთ ინახულოთ გასტროლები ამ ხაკვირველებისა საკვირველება XX საუკ. ინანებს ვინც დააკლდება! 17 წლის გეგეჭკორი მოღუნავს რელსებს და რკინებს, გეგეჭკორის კისერზედ მოღუნავს ათი კაცი მსხვილ რკინას და რელსს (სიმძიმით 50 ფუთს) 17 წ. ახალგაზრდა წინადადებას მისცემს ინჟენრებს, ტეხნიკებს, მჭედლებს და სხვა მცოდნე პირებს გასინჯონ რკინა და სხვა. რომ დაარწმუნოს კავკასიელნი თავისი მუსკულების ძლიერებაში. ახალგაზრდა ჩემპიონი, გეგეჭკორი 500 მანეთს მისცემს იმათ, ვისი ცხენებიც ხელს გაუმართავენ მას.

დასაწყისი საღამოს 4 საათზე. ადმინისტრაცია. (2—169—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

ა. ნ. დიხამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბობოქი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—470

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—307)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 389. (100—ნალ.—61)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

გაფრთხილება

პაპიროსის „სიმპატია"-ს სახელი მოსვენებას არ აძლევს ჩვენს მეტოქეებს, რომელნიც მიმართავენ ხოლმე

სიყალბეს,

როგორც ერთი აქაური ფაბრიკა მოიქცა, რომელმაც ამერიკის ყოველგვარ რეკლამების შემდეგ, ამ დღეებში გამოუშვა ჩვენის ეტიკეტით და სახელით „სიმპატია", ფასით 10 ცალი 6 კაპ. ეს პაპიროსი საოცრად ჰგავს ჩვენის პაპიროსის გარეგან სახეს და ფორმატს. ამიტომ

ნ. ი. ბოზარჯიანცი შვილებით

სთხოვს პაპიროსის მომწევთ, ყურადღება მიაქციონ საფაბრიკო მარკას და გვარს

ნ. ი. ბოზარჯიანცი შვილებით (5—167—1)

სიყალბე — სიფრთხილე

აზიური ბუფეტი მტკვარზე

მ. ზ. კირაკოზოვისა

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ტელ. N 103.

ყოველ-დღე სადილის დროს 2-დან 4 საათამდე და საღამოთი 9-დან ღამის 2 საათამდე უკრავს ახლად მოსული ინტერნაციონალური სიმებიანი ორკესტრი სოლო-კონცერტისტის ა. გ. ეგიაზაროვის ლოტბარობით. (10—163—1)

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და ...

დიდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს ხატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—20)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში



გამოცემა მიხეილ ნემსაძისა

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა. ტელეფ. № 372.

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავათმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაგინოვის ქუჩა N 7. (ო.—180—17)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

ხწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—6)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—4)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ხარაბ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად ყოვ. დღ. 2—3 საათ,

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათიშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—10)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—6.—66

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—243)


## ტფილისი, 23 ოქტომბერი

**ახალ საგლეხო პროექტის შესახებ.**

მკითხველი, უეჭველია, ყურადღებას მიაქცევდა გუშინ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობას იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებო საუწყებათა-შორისო საბჭო შეუდგა ამიერ-კავკასიის გლეხთა სავალდებულო დამოკიდებულებათა მოსპობის პროექტის განხილვას. ეს პროექტი, როგორც წინად ვწერდით, შეიმუშავა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ და შემდეგ განხილულ იქმნა კავკასიის სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელთა კრების მიერ. სხვათა შორის, ამ პროექტის შესახებ ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ მთავრობას წარუდგინა საკუთარი მოხსენება, რომელიც გლეხთა სავალდებულო დამოკიდებულების მოსპობის რამდენსამე ძირითად საკითხს ეხებოდა. ჩვენს წინანდელს წერილებში ამ საგანზე უკვე გავაცანით მკითხველებს, თუ საიდან ჰხრიდნენ თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი ნამესტნიკის კანცელარიაში შემუშავებულს პროექტს. როგორც ეხლა ირკვევა, თავად-აზნაურთა საბუთებს კავკასიის უმაღლესი მთავრობა ვერ დაურწმუნებია და პროექტი მათ სურვილებისამებრ არ შეუცვლიათ. ამ გარემოებას ჩვენ სრულის კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რადგან თავად-აზნაურობისაგან განზრახული შესწორებანი გამოჰდინარეობდნენ წოდებრივი ინტერესებისაგან და რამდენადაც სარგებლობას უქადდნენ მებატონეებს, იმდენადვე საზარალო იყვნენ მშრომელ გლეხ-კაცობისათვის.

კავკასიის ნამესტნიკის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში წარდგენილ პროექტის მთავარი აზრი შემდეგია: აუცილებლად უნდა მოისპოს ბატონ-ყმობის ნაშთები, დარჩენილი ამიერ-კავკასიაში, და დასრულდეს ნახევარ საუკუნის წინად დაწყებული საგლეხო რეფორმა. თავის-თავად ცხადია, რომ ამ აზრს ჩვენს დროში პრინციპიალური მოწინააღმდეგე არა ჰყავს. თავად-აზნაურობაც კი, რომლის ფეოდალურ უფლებათა მოსპობაც შეადგენს ამ პროექტის დანიშნულებას, პირდაპირ არ გამოდის იმის წინააღმდეგ. პირიქით, ისიც რეფორმის მიმხრედ აცხადებს თავის-თავს და მხოლოდ იმას მეცადინეობს, რომ როგორმე მეტი კომპენსაცია მიიღოს.

გლეხთა დროებითი სავალდებულო დამოკიდებულებანი მოსპობილ უნდა იქმნენ იმ აუცილებელის პირობით, რომ მიწა, რომლის გარშემოც ეს დამოკიდებულებანი ტრიალებენ, უთუოდ გლეხის მფლობელობაში დარჩეს. ეს მეორე მთავარი საფუძველიც განზრახულის რეფორმისა არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევს არც ერთის მხრიდან. წინააღმდეგობა და უთანხმოება თავს მხოლოდ მაშინ იჩენს, როცა მებატონეების ფეოდალურ უფლებათა ანაზღაურებაზე ჩამოვარდება სიტყვა. ანაზღაურების საკითხი სხვა და სხვა თვალსაზრისით შეიძლება გარკვეულ იქმნას და ინტერესთა წინააღმდეგობაც სწორედ აქ იჩენს თავს.

ბატონ-ყმობა კერძო სამოქალაქო უფლებრივი ინსტიტუტი არ არის. იგი სახელმწიფოებრივის ხასიათის ურთიერთობაა. ნახევარ საუკუნის წინად ბატონ-ყმობის გაუქმებას თხოულობდა არა კერძო რამ ინტერესი, არამედ სახელმწიფო საჭიროება. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვდა, რომ მებატონეებს ან სულ არ მისცემოდათ არავითარი სასყიდელი გლეხთა განთავისუფლებისათვის და ან, თუ მიეცემოდათ, ეს სასყიდელი გადაეხადა არა გლეხობას, არამედ სახელმწიფოს. სამართლიანობა მოითხოვს, ამ სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით გადაწყვეტილიყო აგრედვე საკითხი კავკასიელ მებატონეების ანაზღაურებისა ეხლა, როცა მთავრობა ბატონ-ყმობის ნაშთების მოსპობას ჰკიდებს ხელს. მაგრამ ჯერ ისევ ნახევარ საუკუნის წინად მთავრობა იმ აზრს დაადგა, რომ მემამულეებს სასყიდელი უნდა მიეღოთ იმ მიწებში, რომლებიც ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ გლეხების ხელში დარჩებოდა. თანახმად ამ ძველის შეხედულებისა, კავკასიის უმაღლესმა გამგემ შესაძლოდ ვერა სცნო, უსასყიდლოდ ჩამორთმეოდა მებატონეებს სანადელო მიწები. მებატონეებისაგან მიწების გამოსყიდვა აღიარებულ იქმნა ახალ კანონ-პროექტით.

თუმცა სანადელო მიწებში მთელ ნახევარ საუკუნეს განმავლობაში ყოველ წლივ შემოსავლის 1/4 იხდიდნენ მემამულეების სასარგებლოდ და ამასთან სხვა და სხვა პირად სამსახურსაც ასრულებდნენ მათ, ასე რომ სანადელო მიწების ფასი უკვე რამდენჯერმე გადახდილი აქვთ, მაგრამ ამ მოსაზრებას კანონპროექტის შემდგენლებმა მაინც ანგარიში არ გაუწიეს. გლეხების წარმომადგენლებს ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, ხოლო თავადაზნაურთა წარმომადგენელნი კი დაინტერესებულნი არ იყვნენ, საქმე ამ მხრივ გაეთვალისწინებინათ. ნამესტნიკის კანცელარიის პროექტით გლეხებმა თითონ უნდა გამოისყიდონ სანადელო მიწები, სახელმწიფომ კი მხოლოდ სესხად უნდა მისცეს მათ ფული მემამულეების დასაკმაყოფილებლად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხში ტფილისის თავადაზნაურობა უფრო სამართლიან შეხედულებას იცავდა და თხოულობდა, მიწების გამოსყიდვა თვით სახელმწიფოს ეკისრა. ეს შეხედულება თავადაზნაურთა წარმომადგენლების მოხსენებაში საკმაოდ დასაბუთებული იყო, მაგრამ როგორცა სჩანს, კავკასიის მთავრობას მაინც შესაძლოდ ვერ დაუნახავს იმის შეწყნარება.

რაკი გამოსყიდვა რეფორმის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული, არსებითი მნიშვნელობა ეძლევა იმ საკითხს, თუ რა ფასში უნდა მოჰხდეს ეს გამოსყიდვა. ტფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი თხოულობდნენ, გამოსასყიდი ფასი ნაანგარიშევი ყოფილიყო მიწების ეხლანდელ ფასების მიხედვით. როგორც გუშინ სწერდა ჩვენი თანამშრომელი ბ-ნი ავალიანი, ტფილისის და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში მიწის ფასები საოცარის სისწრაფით იზრდებიან; ეხლანდელ და ნახევარ საუკუნის წინანდელ ფასებში მეტად თვალსაჩინო განსხვავებაა. თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი მეტად ერთგულად იცავდნენ ეხლანდელ ფასებზე გამოსასყიდ ფულის ანგარიშს და თითო დესეტინას ქუთათური თავად-აზნაურები 1200—1700 მანეთად აფასებდნენ. კავკასიის მთავრობას, როგორცა სჩანს, ეს ყოვლად უსამართლო გოდება არ შეუწყნარებია და თავის საბოლოო პროექტში შეუ-

ტანია მიწების გამოსყიდვა სამოციან წლების ფასებში.

თავის თავად ცხადია, რომ ეხლანდელ ნახევრად ბატონყმურ ურთიერთობას მშრომელ ხალხის ინტერესებისთვის ის მდგომარეობა სჯობია, რომლის დაწესებაც შეადგენს ახალ კანონ-პროექტის საგანს. არ შეგვიძლიან მხოლოდ არ აღვნიშნოთ, რომ თვით რუსეთში გამოსასყიდი გადასახადები 1907 წლიდან ყველა ხარისხის გლეხებს ეპატიათ. მესამოცე წლების შემდეგ რუსის გლეხები ხაზინის სასარგებლოდ იმაზე მეტს არ იხდიდნენ, რასაც ქართველი გლეხები იხდიდნენ და იხდიან დღევანდლამდე მებატონეების სასარგებლოდ. 1907 წლის შემდეგ რუსის გლეხები მიწის სრული მესაკუთრენი არიან, ქართველ გლეხებს კი ეხლა უნდებათ გამოსყიდვის დაწყება.

**სპარსეთის საქმეები.** ევროპის დიპლომატია გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს სპარსეთის საქმეებს. რევოლუციის შემდეგ, სპარსეთს როგორღაც გაუძნელდა ნორმალურ კალაპოტში ჩადგომა. ძველი წეს-წყობილება დაემხო, მაგრამ ახალმა მაინც კიდევ ვერ გაიდგა ფესვები სპარსეთის ცხოვრებაში. მთავრობას ძალიან გაუჭირდა წესიერების დამყარება. ერთის მხრით ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ უკულტურო და უკან ჩამორჩენილ სპარსელებისათვის შეთვისება სამოქალაქო თავისუფლებისა ძალიან ძნელია. მაგრამ უმთავრესი მიზეზი იმაშია, რომ სპარსეთის ახალს მთავრობას ძალიან ცოტა ფული აქვს. ამისთანა პირობებში კი საქმეების მოწეს-რიგება და თვალსაჩინო რეფორმების განხორციელება ყოვლად შეუძლებელია. ახალს მთავრობას ყოველთვის ემჩნეოდა ხოლმე ეს უფულობა, რომელიც მოქმედების დროს ხელ-ფეხს უბორკავდა. შაჰის მთავრობამ თავის უზომო მფლანგველობით სიკვდილის კარამდე მიიყვანა სპარსეთი; თვინიერ ყურმოჭრილ მოხელეებით სავსე სპარსეთი, თქმა არ უნდა, ერთბაშად ვერ გამოვიდოდა სწორე გზაზე. ახალს მთავრობას აუცილებლად უნდა განეწმინდა სპარსეთის მოხელეები, შემოეღო გამორკვეული საფინანსო სისტემა, განეხორციელებინა საყურადღებო რეფორმები, მაგრამ ყველა ამისათვის საჭირო იყო ფული, ახალს მთავრობას კი სწორედ ფული არა ჰქონდა. იგი იძულებული გახდა სესხისთვის მიემართა. ინგლისმა და რუსეთმა სურვილი განაცხადეს სესხის მიცემისა, მაგრამ სპარსეთმა კატეგორიულად უარჰყო ეს წინადადება. ამით მან დაამტკიცა, რომ კარგად ესმის ფარული გულის ზრახვანი „მფარველ“ სახელმწიფოებისა.

ერთხანად გაზეთები აყაყანდნენ, მალე რუსეთი და ინგლისი სპარსეთს გაიყოფენო. საქმის ვითარება ნათლად გვიჩვენებს, რომ ასეთს გაყოფაზე ლაპარაკი ძალიან ნაადრევია. რუსეთსა და ინგლისს ძალიანაც რომ ჰქონდეთ ამის სურვილი, მაინც ვერას გახდებიან, რადგანაც ეს გაყოფა დიდს მიხლა-მოხლას გამოიწვევდა ევროპის სხვა სახელმწიფოებში. სპარსეთმა გვერდი უქცია რუსეთ-ინგლისს და სესხის განაღდება გერმანიაში მოახერხა. ამით გერმანიაც მონაწილე გახდა იმ კონცერტისა, რომელიც სპარსეთის საქმეების გარშემო ასტყდა. აქამდის გერმანია ძალიან დაშორებული იყო სპარსეთის საქმეებიდან, დღეს კი ისიც აქტიურ მონაწილედ ხდება. ინგლისი და რუსეთი იძულებულნი იქნებიან ანგარიში გაუწიონ გერმანიის ქიშპობას. ასეთი პირობები შეიქმნა სპარსეთის საქმეების გარშემო და ამიტომ გაყოფაზე ლაპარაკი სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

გაყოფაზე მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი, თუ რუსეთი და ინგლისი გერმანიას სამაგიეროდ რითიმე დააკმაყოფილებდნენ. სპარსეთის გაყიდვა კი ისეთი დიდი შენაძენი იქნებოდა, როგორც რუსეთისათვის, ისე ინგლისისთვის, რომ მის საბადლოს გერმანია ვერ მიიღებს. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით სპარსეთის დამოუკიდებლობას არაფერი საფრთხე არ მოელის. მას შეუძლიან თამამად განაგრძოს თავისი გზით სიარული და ეცადოს ცხოვრებაში გაატაროს ის მოქალაქეობრივი თავისუფლება, რომელიც პრინციპია...

## ქუთაისის თეატრი

(ზოგადად მიხედვა)

დრომ ეტყობა თავისი მოიტანა და რუსიფიკატორების ცდამ ნაყოფი გამოიღო. ოცი წელიწადია თვალ-ყურს ვადევნებ ქართულ თეატრს, ხშირად დაახლოვებულიც ვყოფილვარ თეატრის საქმეებთან, და მართალი გითხრათ, არ შემიმჩნევია ის მოვლენა, რის მოწმენიც ჩვენ ვართ წრეულს ქუთაისში.

ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრს ახალგაზრდას უცდია თავისი ძალ-ღონე სცენაზე, უმრავლესობამ ვერა სძლია ხელოვნების ტაძრის მძიმე მოთხოვნილებას და განშორდა მას, მაგრამ არ მახსოვს, რომ ქართველს ქართული მსახიობა განეზრახოს და ქართული გამოთქმა არა ჰქონდეს.

წლევანდელი ქუთათური დასი თითო-ოროლას გარდა, ახალგაზრდა მსახიობთაგან შესდგება; მათ შორის ისეთებიც არიან, რომ პირველ გამოსვლისთანავე სცენაზე საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს, მაგრამ რაც გინდა,—არტისტს ყოველისფერი ხელს უწყობს, რომ თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს ქართულ სცენაზე და... ქართული ლაპარაკი არ იცის. სცენიდან ქართული სიტყვები გესმის, მაგრამ ისეთის კილოთი, რომ გეშინიან, ვაი თუ თავი დავიწყებას მისცეს და ქართულ წარმოდგენაში რუსულად დაიწყოს ლაპარაკიო. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ არტისტები, რომლებზედაც მაქვს ლაპარაკი, ქუთაისში ყოფილან თურმე აღზრდილნი; და რანაირად მოახერხეს უცხო ენის ასეთი შეთვისება, როდესაც აქვე უცხოელნი ზედ-მიწევნით სწავლობენ ქართულ ენას?

ასეთს ანორმალურ მოვლენას თავისი მიზეზი ექნება ხსენებულ არტისტების ცხოვრებაში და მათი განხილვა ამ წერილის საგანს არ შეადგენს. მე მინდა მივაქციო ყურადღება ერთ გაუგებარს გარემოებას. დავსწრებივარ ხშირად რეპეტიციებს. კაცმა უნდა იგულისხმოს, რომ ქართულ წარმოდგენის სამზადისში ქართული ენა უნდა იყოს გამეფებული, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: გაჩუმდება თუ არა სუფლიორი და არტისტები განთავისუფლდებიან ქართულად ლაპარაკის მოვალეობისაგან, იმ წუთშივე გახურდება რუსული ლაპარაკი. დავანებოთ ამასაც თავი. რეჟისორი ...ჯიშობას; დავდგა, ვთქვათ, ისეთი დრო, რომ მან არტისტს შენიშვნა უნდა მისცეს, ან და აუხსნას რამე. თქვენ რა გგონიათ, რა ენაზე მოხდება ეს? ნუ თუ ფიქრობთ ქართულზე? სცდებით,—რეჟისორი და მასთან ერთად არტისტებიც გააჩაღებენ რუსულად ბაასს, ვიდრე სუფლიორი ძალა უნებურად არ აალაპარაკებს არტისტებს ქართულად.*)

*) ახლავე ჰხდება ტფილისის ქართულ თეატრშიაც. შენიშვნა კორრექტორისა.

შემინიშნავს ხშირად რეჟისორისათვის და ცალკე არტისტებისათვისაც ეს გაუგებარი მოვლენა და პასუხად ყოველთვის ერთი და იგივე მსმენია,—რუსულად უფრო გვეხერხება შენიშვნის მიცემა, ახსნა და ერთ-მანერთის გაგებაო.

ქუთათურ დასის რეპეტიციებს არ დავსწრებივარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აქაც იმ ნაირადვე არის გამეფებული რუსული, როგორც სხვა დროს და სხვაგან ყოფილა.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს დრამატიულმა საზოგადოებამ, რეჟისორმა, არტისტებმა და ყველამ, ვისაც-კი რაიმე დამოკიდებულება აქვს სცენასთან.

დავესწარი უკანასკნელს წარმოდგენას. ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ—რუსულს საკუთარ სახელებს არტისტები უცვლელად გამოსთქვამენ. მაგალითად მიჰმართავენ ივანეს, პეტრეს, ალექსანდრეს,—ქუთაისში დამყარებულის წესით არტისტებმა უნდა გამოსთქვან, გინდა მიჰმართოს: ივან, პეტრ, ალექსანდრ და სხვა.

იქნება მართალნიც იყვნენ ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელნი, როცა საკუთარ სახელებს უცვლელად გამოსთქვამენ, მაგრამ რას იზამ, როცა სულ იმისი გეშინიან, ვაი თუ „ივან“-ს რომ იტყვიან ზედ „პოდაი ვოდი“ არ დააყოლონ.

ეს განსაცდელი მაინც ავაშოროთ რუსიფიკატორების მსხვერპლთ.

ვ. ყ.

## დეპეშები

პეტერბ. ტელეგრაფთა სააგენტოსაგან

22 ოქტომბერი.

**საზღვარ-გარედ**

**ლონდონი.** მუსულმანთა კრებამ დაადგინა, მკაცრი გაკიცხვა გამოუცხადოს ინგლისის მთავრობას სპარსეთში მოქმედების გამო და მიმართოს ინგლისს, რათა სპარსეთიდან რუსეთს ჯარის გაყვანა მოსთხოვოს. ორატორები მკაცრად იხსენიებდნენ ... ხალხი გერმანიის იმპერატორის ხსენებას ალტაცებით ეგებებოდა.

სამხრეთ უელსის სამთა მადნო მაღაროებში 17,000 მუშაა გაფიცული, მათ მუშათა კავშირი ნივთიერად ეხმარება. საერთო გაფიცვის გამოცხადებას ერიდებიან, რადგან სახიფათოდ მიაჩნიათ.

**პარიზი.** ბრიანმა დღეხანს ითათბირა ბრისონთან. სენატის პრეზიდენტი დიუბასტი, სეონ ბურჟუა, კლემანსო და სარიე სახლში არ დახვდნენ. ინახულა სალენიენი და მონისი; ჩამოარა კაბინეტის გადამდგარ წევრთა უმრავლესობას. შემდეგ სამინისტროში სადარბაზოდ მიიღო დეპუტატები პიუკი, რეინოდ, კლემანტელი.

დღეს ინახულა მონისი და ლარვესა. ბრიანს იმედი აქვს, რომ სადამომდე მოასწრობს ახალი კაბინეტის შესადგენად ყველასთან მოლაპარაკებას,

**სტამბოლი.** ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ საბერძნეთის საქონელზე ბოიკოტი მოიხსნას.

კუმანოვის მახლობლად მატარებლის აფეთქებისათვის, სამხედრო სასამართლომ 3 ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, 17 კატორგაში გაგზავნა 3-15 წლამდე. ყველანი ბოლგარები არიან.

გალატაში დაატუსაღეს რუსის ანარხისტი რასკოვი და ოსმალეთიდან გააძევეს.

**პარიზი.** დეპუტატ ვილიანი სავაჭრო მინისტრს შეეკითხა: რადგანაც წელს პურის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო და ფასმაც აიწია, საჭირო ხომ არ იქნება, შემოტანილ ფქვილზე ბაჟი ერთის წლის მოვხსნათო?. სავაჭრო მინისტრმა მიწათმფლობელების მინისტრთან მოლაპარაკების შემდეგ, აცნობა ვილიანს—არ შეიძლებაო.

**სტამბოლი.** ნაშუადღევის სამ საათზე სულთანი ადრიანოპოლიდან დაბრუნდა.

**პარიზი.** „ტანი“ და „ჟურნალ დე დემა“ ამბობენ, რომ ბრიანის მიერ ახალ კაბინეტის შედგენა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესაფერია, იმ მდგომარეობისა, რომელიც გაფიცვამ შექმნა. ეს გზა მინისტრთა შორის არსებულ კანხეთქილებას მოსპობს და წამოყენებულ საკითხებზე ერთს, მთლიან აზრს დაამყარებს; ამას კი მთელი ქვეყანა მოელისო. ახალ კაბინეტის დანიშნულება და მოვალეობაა ამონახოს შესაფერი ზომები რევოლუციონურ სინდიკალიზმთან საბრძოლველად და საზოგადოებრივ ხასიათის წარმოების საქმეში გაფიცვის უფლებანი შეზღუდოს. ამავე დროს იგი ეცდება მუშათა ნივთიერი მდგომარეობაც უზრუნველ ჰყოს.

**ბერლინი.** რუსეთის იმპერატორის პოტსდამში დარბაზობის გამო „ტაიმს“-ში მოთავსებულ წერილის საპასუხოდ „ტეგლიშე-რუნდშაუ“ სწერს: როგორც პეტერბურგში, ისე ბერლინშიაც, ამ დარბაზობას რუსეთის სხვა ქვეყნებთან განწყობილებასთან არ აკავშირებენ. ამ შეხვედრას არავითარი ფარული განზრახვა არა ჰქონია. ყველა გამოსთქვამს მხოლოდ გულწრფელ კმაყოფილებას, რომ რუსეთის იმპერატორმა მოისურვა მეგობრულად სწვეოდა იმპერატორ ვილჰელმს. რუსეთის იმპერატორს მიესალმებიან ისე, როგორც მეზობელ სახელმწიფოს მონარქს, რომელთანაც გერმანიას დიდიხნის მეგობრული კავშირი და პირველხარისხოვანი საერთო ინტერესებიცა აქვთ. გაჭირვებულს წამებში, გერმანია მუდამ მხარს აძლევდა რუსეთს ისე, როგორც რუსეთის არც ერთი სხვა მეგობარი ქვეყანა. გერმანია არასოდეს არ შეჰსევია რუსეთს, და ბევრს ბრძოლაში მას მხარში ამოსდგომია. გერმანიასა სურს ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობდეს მეზობელ სახელმწიფოსთან ერთად ურთიერთ ინტერესებისა და ევროპის მშვიდობიანობის დასაცველად. „პოსტი“ აღნიშნავს, რომ გერმანიისა და რუსეთს შორის მოწინააღმდეგე ინტერესები არ არსებობს. თუმცა ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც ორივე ქვეყნის დიპლომატია სხვა და სხვა გზით მიემართებოდა, მაგრამ, სამტრო გამწვავებამდე არასდეს არ მისულა საქმე. რუსეთთან კეთილ-განწყობილებას არა მხოლოდ მონარქთა პირადი განწყობილება, არამედ პოლიტიკური მდგომარეობაც ხელს უწყობს. თუმცა გერმანია არაა დაინტერესებული, რომ რუსეთთან უსათუოდ კარგი განწყობილება იქონიოს, მით უმეტეს, რომ გერმანიას საფერი არა აქვს რა, მაგრამ უეჭველად დაინტერესებულია, რომ ბერლინსა და პეტერბურგს შუა დადებული ხელშეკრულება სხვა და სხვა დაპირებითა და შეთანხმებით არ ირღვეოდეს. საეჭვოა, რომ მონარქთა შეხვედრამ მაინც მიაღწიოს თავის დანიშნულებას. იგი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მონარქთა შეხვედრა.

„ნორდ-დოიჩე-ალგემაინე-ცაიტუნგ“ ამბობს, რომ მას განსაკუთრებით ახარებს ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერატორს, იმპერატორ ვილჰელმის რეზიდენციაში აძლევს სალამს, იმ სასახლეში, სადაც რომანოვის გვარეულობის მეფენი ხშირად ყოფილან სადარბაზოდ და ჰოჰენცოლერების სამეფო გვარეულობასთან მუდამ მეგობრული კავშირი ჰქონიათ. პოტსდამში მოსვლა ახალი დამადასტურებელი საბუთია იმ გულწრფელის განყოფილებისა, რომელსაც იმპერატორი ნიკოლოზი, ტახტზე ასვლის დღიდანვე, იჩენდა გერმანიის იმპერატორის მიმართ. ორივე ქვეყნის მონარქთა ასეთი შეხვედრა ორივე ქვეყნის ინტერესების სასარგებლო და ევროპის მშვიდობიანობის თავდები ყოფილა. გაზეთსა სწამს, რომ დღევანდელ შეხვედრასაც, ასეთი შედეგი მოჰყვება.

**ბუქარესტი.** ოსმალეთის მთავრობამ შეიწყნარა მაკედონიაში რუმინიის ეპისკოპოსის დანიშვნის შუამდგომლობა. კანდიდატად არქიმანდრიტი ფოტი ბალამუჩია წამოყენებული. იგი გორიციდან არის და ბუქარესტში სასულიერო ფაკულტეტი აქვს დასრულებული. დღეს იგი ბუქარესტის სემინარიაში დირექტორის თანაშემწეა. არქიმანდრიტის სიტყვით, მაკედონიაში მყოფმა რუმინელთა სამწყსომ, ამ დღეებში სთხოვა სტამბოლის პატრიარქს, მაკედონიაში ეპისკოპოსი დაგვინიშნეთო. ბალამუჩი დარწმუნებულია, რომ პატრიარქი ამ თხოვნას უყურადღებოდ დასტოვებს და რუმინელებს იძულებულ ჰყოფს ავტოკეფალიურს ეკლესიებს მიმართონ. შესაძლებელია, რომ რუმინელებმა ბულგარიის ეგზარხოსს მიმართონ, რათა მან აკურთხოს,—რუმინელების სურვილით არჩეული და ოსმალეთის მთავრობის მიერ შეწყნარებული მაკედონიის ეპისკოპოსი.

## მგზავრის შთაბეჭდილებანი

დიდებულია ბუნება ჩემის სამშობლოს ყველა კუთხისა! შევყურებ მის სიდიადეს და თვალს აღარ უნდა მოშორება მისის სიმშვენიერისა, გული რაღაც გამოუთქმელს ნეტარებას ჰგრძნობს; გონება ითვალისწინებს სიკეკლუცეს ყველა სხვა მხარისას და ძალა-უნებურად ფიქრდება მასზედ, თუ რაშია ძალა მათის სიმშვენიერისა.

დიდხანს, დიდხანს შევყურებ ყაზბეგის ცამდის ამართულს კლდეებს, მათ ძირში მომდინარე აღშფოთებულს ღრიალა თერგს, რომლის მრისხანე ზვირთნიც საოცარის ძლიერებით ეხეთქებიან კლდის უზარმაზარ ლოდებს. თვალ-წინ მეხატებიან გაშლილი ველ-მინდორნი მწვანედ მობიბინე ყანებით და მათ შუა ნაზად მოჩქრიალე ანკარა ფრონეები ზემო ქართლისა, ტურფა ბაღხილებით შემკობილი ქვემო-ქართლი, თავის მსწრაფლ-მოშხუილე დიდგულა ლიახვით და სხვა მრავალგვარი სიმშვენიერე ყველა კუთხისა, რომლის ხელოვნურად აღწერას მე გვერდს ვუვლი, რადგან არა ვარ მხატვარი პეისაჟებისა.

დიდხანს, დიდხანს ვარ გატაცებული ყველა ამ „ხილულ და არა ხილულის“ სიმშვენიერით, ინსტიქტურად, გამოურკვევლად ვგრძნობ, რომ ყველა ეს ლამაზია, მშვენიერია და მომხიბლელი, მაგრამ რა ძალა ჰქმნის ამ სიმშვენიერეს, რაში მდგომარეობს მისი სილამაზე, რა აძლევს მას მომხიბლველ ძალას,—რისგან შესდგება საზოგადოდ მისი სიმშვენიერე? ყველა ამ კითხვაზე-კი ანგარიში ვერ მიმიცია ჩემის თავისთვის, თითქოს რაღაც საიდუმლოებით არის მოცული ეს კითხვა და ამაოდ ვატან გონებას ძალას ამის გამოსაკვლევად; ამაოდ ვაკვირდები მეომარ რაზმივით ალყა-შემორტყმულ კლდეებით აზვირთებულ თერგის გამძვინვარებულ ტალღებს, მის მძლავრს ქუხილს, მინდა მის ხმაურობაში ამოვიკითხო პასუხი ჩემის კითხვებისა, მაგრამ კვლავ ამაოდ—გამოცანა ვერ გამომიცვნია და გულ-მოსული ვუპასუხებ ჩემს თავს: ლამაზებია და მეტი არაფერი, სხვა რა ძალა უნდა იყოს!? სიმშვენიერის ძალა თვით სიმშვენიერეში მდგომარეობს...

უკმაყოფილოდ ვეთხოვები ამ თვალ-წარმტაც სურათსა და მაინც გონება ერთსა და იმასვე იმეორებს:—სიმშვენიერის ძალა თვით სიმშვენიერეში მდგომარეობს, მაგრამ რა ჰქმნის ამ სიმშვენიერეს, რისგან შესდგება იგი?

მეტად მძულს გამოურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, ამ დროს ყველაფერი მავიწყდება, აღარაფერი იზიდავს ჩემს ყურადღებას და მგონია—ცას და დედა-მიწას მოვწყვეტილვარ სრულიად. ასეთს უაზრო მდგომარეობაში დავბრუნდი უკან და მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც მივუახლოვდით კავკავის ხიდს და თანამგზავრებმა სთქვეს:—„აგერ, მივედით კიდეც ბინაზეო“.

გადავხედე ხიდიდან უშველებელ სივრცეში აქა-იქა უშნოდ გაფანტულს მღვრიე თერგს, რომელიც ავად-მყოფ ადამიანივით უსიცოცხლოდ მიიზლაზნებოდა, ზოგან წუმპედ და ტალახად გადაქცეულიყო და მეტად საზიზღარ სურათს წარმოადგენდა; გული ამემღვრა, თვალი მალე მოვარიდე,—გავიხედე შორს და კვლავ საამო სურათი: თერგი ერთ კალაპოტში ჩამდგარიყო და მედიდურად მიშხუოდა; იქით—გაგულისებული დიდროვან შხეფებს ესვროდა და მარდად თავს ახტებოდა იმ ქვის უშველებელ ლოდებს, რომლებსაც ორი დღის წინადაც ებრძოდა, მაგრამ თავზე კი ვერ სწვდებოდა; უცებ რაღაც კმაყოფილება ვიგრძენ და კვლავ გავხედე გაფანტულს თერგს... აი, ძალა რაში ყოფილაო!—მე მომაძახა გონებამ, ერთობა, ერთ კალაპოტში ყოფნა, ერთად ბრძოლა ერთად მოქმედება, აი, ეს ჰქმნის ყოველ სიმშვენიერეს, ეგ სძლევს ყოველს უძლეველსაო.

წარმომიდგა თვალ-წინ ყაზბეგის მედიდურად დარაზმული კლდეებშუა ამწვანებული ყანები, რომელნიც გაფანტულან პატარ-პატარა ვაკე ადგილებზე და მეტად საცოდავ სურათს წარმოადგენენ ქართლის მწვანე ხავერდივით გადაჭიმული, მობიბინე და მოშრიალე ყანებთან შედარებით და პირიქით: მწვანედ მობიბინე ტურფა მინდორ-ველებზე ხორც-მეტივით აქა-იქ ამობერილი გორები, რომელნიც მხოლოდ სიდინჯეს-თუ წარმოადგენენ ყაზბეგის ნისლიან და ამაყ მთებთან შედარებით; სხვაგან კიდევ, აქა-იქ განმარტოებულად და ობლად წამოყუდული ხეები, რომელთაც არ შეუძლიანთ არავითარი შნოსი და ხმის მიცემა ერთმანეთისათვის და მათ დაშორებით კარგა მანძილზე გაფურჩქვნილი ნორჩი ტყე, რომელიც თავის საამურის შრიალით თითქოს გიპატიჟებს: — „მოდი მაშვრალო, ჩემს ჩრდილოებში და დაისვენე, აქ ყოველთვის შეხვდები „თავისუფალ თავშესაფარსო“...

მაგონდება აგრეთვე, სმენის წარმტაცი მუშების საერთო ყიჟინი „ჰოროპუნასი“ ოქროს-ფერ ყანებში, მათი თავდავიწყებამდის გატაცება ამ სიამოვნებით და იქვე ცოტა მოშორებით, ერთის ან ორი კაცის ხან გამოლებული ფიცხელი ცელვა მდუმარედ, თითქო ამ შრომაში უნდათ ჩაჰკლან თავიანთი ჭირ-ვარამიო, და ხან მეტის მოქანცვით წელში გაწყვეტილნი, დაყრდნობილნი ცელის ტარზე სევდიანად მოღიღინენი, თითქოს ამით მოსთქვამენ თავიანთ უბედურებასო; თვალ-წინ მეხატება კიდევ მდგომარეობა მუშებისა უზარმაზარ ფაბრიკებში მდგომარეობა მუშებისა, რომელთაც დახშული ატმოსფერა ფაბრიკებისა სულსა და გულს უხუთავსთ, მაგრამ შედარებით იმ მუშების მდგომარეობისა, რომელნიც დღე და ღამ დაუღალავად შრომობენ თავიანთ პატარა სახელოსნოებში და თან მწარე ფიქრები არ შორდებათ მარტოობისა გამო, გაცილებით მსუბუქი და ადვილი ასატანია შრომა ფაბრიკის მუშებისა. აქ,—„ერთობაში“, თითქოს არა სცალიან კაცს მეტს სასოწარკვეთილებას და ფიქრს მიეცეს, იქ კი,—მარტოობაში გულითაც რომ უნდოდეს შავის ფიქრების მოშორება, მაინც ბაიყუშივით თავს დასჩხავიან და გულს უწამლავენ.

ამგვარად, ჩემო მკითხველო, ვადარებ ყველა შეერთებულსა და განცალკევებულ ძალებს ერთმანეთსა და ყველა მეუბნება:—შეერთებულ ძალაში მდგომარეობს ყველა მშვენიერებაო, ეს ძალაა ყოვლის შემომქმედი და ყველაზე ძლიერი, ეს ანიჭებს ყველას ჭეშმარიტ სიცოცხლესა და თავისუფლებას!..

ბარბარე ხერხეულიძე.

**სოფია.** მინისტრად ნამყოფმა, ლიბერალმა დეპუტატმა პეშენმა, კამათის დროს, განაცხადა, რომ ბოლგარიას ოსმალეთის წინააღმდეგ ომის ატეხა არ განუზრახავსო.

მთავრობა ოსმალეთიდან მუდამ კეთილ განწყობილებასა სცდილობდა, მაშინაც კი როდესაც ოსმალეთი დიდს განსაცდელში იყო. ბოლგარიამ ბევრი რამ დასთმო ოსმალეთის სამეგობროდ. ამის და მიუხედავად, ოსმალეთი მაინც მტრულად ეპყრობოდა ბოლგარიას, ოსმალეთში მცხოვრებ ბოლგარელებს უდიერად სდევნიდა. ბოლგარიისა ჰსურს, რომ მაკედონიაში მცხოვრები ბოლგარები ძმურ დამოკიდებულებას ეღირსნენ ოსმალეთის მიერ ისე, როგორც მუსულმანები არიან ბოლგარიაში. ჩვენ გულდამშვიდებით მაცქერლად ვერ დავრჩებით, როდესაც ოსმალეთში ჩვენს ძმებს აწამებენ და სდევნიან. ამის და მიუხედავად, მთავრობა მაინც უნდა სცდილობდეს, რომ ოსმალეთთან მეგობრული განწყობილება დაამყაროს.

### რ უ ს ე თ ი

**ვარშავა.** დელნოის ქუჩაზე № 43 სახლის კიბეზე, სახლის პატრონ—ებრაელის ბინის წინ ყუმბარა გასქდა. რამდენიმე კარი და ფანჯრები ჩაილეწა.

**მოსკოვი.** ქალაქის უფროსმა, ტახტზე ასვლის დღესასწაულისა გამო, „რუსკოე სლოვოს" დაპატიმრებული რედაქტორი ბლაგოვი გაანთავისუფლა.

**სარატოვი.** ყინვებია.

**ვიატკა.** მოროზოვის ქვრივისმიერ ვიატკის მუზეუმა მიიღო შემოწირულ სურათების კოლექცია, რომელიც 30,000 მანეთადაა დაფასებული.

**ორიოლი.** ხელოვნების და შინა მრეწველობის გამოფენა გაიხსნა ისტორიული განყოფილებაცაა.

**პეტროკოვი.** შარა გზაზე, სოფ. კლომნისტის მახლობლად, იპოვნეს მოკლულ უფროს „სტრაჟნიკის" გვამი.

**პეტერბურგი.** სავაჭრო მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით მომხდარ სხდომაზე, დაადგინეს, რომ ექსპრესის მატარებელი კვლავ დადიოდეს ვლადივოსტოკ-ცურუგა, ვლადივოსტოკ-ნაგასაკი-შანხაის გზაზე.

**ბაქო.** ბაქოს ტეხნიკურ სასწავლებლის მოსწავლეს ზაევს საოლქო სასამართლომ 7 თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. ზაევს ხელით შეურაცხყოფა მიუყენებია დირექტორისათვის.

**რადომი.** სკარჟისკის სადგურის მახლობლად, ხაიენნის ქარხნის ხაზინადარს შეიარაღებული კაცები დაეცნენ. მას 8675 მანათი მიჰქონდა. ხაზინადარი ხელიდან გაუსხლტა და თან 8000 მანათი გაიყოლა. დანარჩენი 575 მანათის ვერცხლის ფული მძარცველებმა გაიტაცეს.

**პეტერბურგი.** რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების შეხვედრის გამო, გაზ. „როსია" სწერს: ევროპის მონარქთა შეხვედრა, თუმცა ხშირად არა ხდება, მაგრამ თანამედროვე საზოგადოების თვალში უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს წინად იყოვო. ამით აიხსნება ის ინტერესი, რაც ამ უკანასკნელმა შეხვედრამ გამოიწვია. ამ შეხვედრას საზოგადოება უაღრეს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს. გაზეთის აზრით, ამ შეხვედრას განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მიექცეს, ეს ახალ პოლიტიკურ მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს გერმანიისა და რუსეთის განწყობილებაში. დღევანდელი შეხვედრა გამომხატველია არა მარტო მონარქთა პირადის კეთილგანწყობილებისა, არამედ რუსეთ-გერმანიის მეგობრულ კავშირისა. ორივე სახელმწიფო მუდამ იმის ცდაში იყო, რომ არამც თუ შეემსუბუქებინა ურთიერთშორის პოლიტიკურ თუ ეკონომიურ საფუძველზე აღმოცენებული უთანხმოება, არამედ დაეწყნარებინა ევროპის სახელმწიფოთა შორის ამტყდარი ურთიერთი კინკლაობა და საქმისთვის მშვიდობიანი გამოსავალი მიეცა. ევროპის მშვიდობიანობის მუდამ ფხიზელ დარაჯად მდგომარე, ეს ორი სახელმწიფო, იმდენად დაახლოვდა, რომ ხალხის გულშიაც ღრმა ფესვები გაიდგა რუსეთ-გერმანიის მდგომარეობამ. ეს მოვლენა უფრო უტყუარი თავდებია რუსეთ-გერმანიის მეგობრულის კავშირისა, ვიდრე ათასი ხელშეკრულებანი. და იგი თავდებია საერთაშორისო პოლიტიკურ მოღვაწეობის მშვიდობიანობისა, იგი უზრუნველჰყოფს კულტურულ კაცობრიობის მშვიდობიანობასაც.

რუსეთსა და გერმანიას არც პოლიტიკაში და არც ეკონომიურ საკითხებში შეურიგებელი ინტერესები არა აქვთ და, როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, ისე ისტორიულ-კულტურული მისსია, ხელს უწყობს მათს შორის მეგობრულ კავშირის განმტკიცებას.

გაზეთი იმედოვნებს, რომ პოტსდამის დარბაზობა უფრო მკვიდრს ნიადაგზე დააყენებს რუსეთ-გერმანიის მეგობრულ განწყობილებასაო.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1, ავად არის 143.

## ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**ქართული წარმოდგენა.** დღეს, 23 ოქტომბერს, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქმნება ნიკ. შიუკაშვილის ახალი 4 მოქმედებიანი პიესა „მეგობრობა", რომელიც გაგრძელებაა ამას წინად ქართულს თეატრში წარმოდგენილის პიესისა „გამხმარი ფოთოლი"-სა.

**ქ. შ. წ.-კ. გამავრცელბელ საზოგადოებაში.** 21 ოქტომბერს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოჰხდა. გამგეობამ სხვათა შორის, განიხილა წ.-კ. საზოგადოების ყვირილის განყოფილების განცხადება. განცხადებიდან სჩანს, რომ განყოფილებას განუზრახავს, საკუთრებად შეიძინოს ყვირილაში ის ადგილი, სადაც თეატრი იყო და მოძრაობის დროს გადაიწვა. ეს ადგილი დარჩენია ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკს, რომლისაგანაც განყოფილებას სურს ადგილი შეისყიდოს შეღავათიან ფასში და მთავარ გამგეობას შესაფერს დიხმარებას სთხოვს. მთავარმა გამგეობამ დაადგინა, შეეკითხოს ქუთაისის ბანკს, რა ფასში, ან რა პირობით, დაუთმობს ყვირილის განყოფილებას ამ ალაგს.

**ნორმალური დასვენება.** 21 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის წევრის ა. მ. არლუთინსკის თავჯდომარეობით, კრება ჰქონდა ქალაქის საგანგებო კომისისა, რომელსაც მინდობილი აქვს ტფ. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ სავალდებულო წესების პროექტის შედგენა. კრებას სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონები და მოსამსახურენიც დაესწრნენ. კრებამ განაგრძო თავ. არლუთინსკის მიერ შედგენილ პროექტის მუხლ-მუხლად განხილვა და მხოლოდ ექვსის მუხლის განხილვა მოასწრო. კამათი გამოიწვია პროექტის მე-14 მუხლმა. დაწესებულებათა პატრონები თხოულობდნენ მოსამსახურეთათვის 12 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ხოლო მოსამსახურენი—ათის საათისას. ბოლოს ორივე მხარე შეთანხმდა 11 საათის სამუშაო დღის შემოღებაზე და საჭიროდ სცნო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი გაიღოს ხოლმე დილის 8 საათზე და დაიხუროს საღამოს 8 საათზე. განუხილავი დარჩა 10 მუხლი, რომელსაც შემდეგ კრებაზე განიხილავენ.

**კიდევ ქამიროვის გატაცების გამო.** როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში დაუპატიმრებიათ გორის მაზრის ქვიშხეთის სოფლის მწერალი ვანო ლომიძე. ამბობენ, დაპატიმრებას კავშირი აქვს გიმნაზიელ ქამიროვის გატაცების საქმესთანო.

**ახალი სამკითხველო.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ტფილისის გუბერნატორის წინაშე ტფ. მაზრის სოფელ დიდ ლილოში უფასო სამკითხველოს გახსნის შესახებ.

**საქალაქო კანტროლი.** 21 ოქტომბერს კერძო თათბირი ჰქონდა ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა იმ ჯგუფს, რომელიც თავის თავს ოპოზიციას ეძახის. ხმოსნებმა თათბირი იქონიეს საქალაქო კონტროლის შესახებ და საჯაროდ სცვნეს, ამ საყურადღებო საკითხის შესახებ საფუძვლიანი მოხსენება შეადგინოს, მანამ კი სთხოვონ ხმ. აბრამიანს, საბჭოში წარდგენილი მოხსენება საქალაქო კონტროლის შესახებ უკან წაიღოს.

**ყაჩაღის მოკვლა.** 19 ოქტომბერს, ხოფელ სომხეთის (გორის მაზრა) მახლობლად, მოუკლავთ ცნობილი ყაჩაღი დარჩო ყაზაშვილი, რომელიც, კარგა ხანია, გორისა და დუშეთის მაზრის მცხოვრებთ შიშის ზარსა სცემდა. ყაჩაღს მსუბუქად დაუჭრია ერთი ჩაფარი.

**მიტროპოლიტის ფლავიანეს მოხვლა.** 14 ნოემბრისთვის ტფილისში მოელიან საქართველოს ექსარხოსად ნამყოფს, დღეს კიევის მიტროპოლიტს ფლავიანეს, რომელიც კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების 50 წლის არსებობის აღსანიშნავად განზრახულს დღესასწაულს დაესწრება.

**მემუსიკე კ. ფოცხვერაშვილი.** ჩვენი ნიჭიერი მემუსიკე კ. ფოცხვერაშვილი დღეს, 23 ოქტომბერს, პეტერბურგს მიემგზავრება უმაღლეს სამუსიკო სწავლის გასაგრძელებლად. ტფილისიდან ბ-ნი ფოცხვერაშვილი გზად გაივლის ბაქოს, სადაც ერთს კონცერტს გამართავს.

**გენერალი დუმბაძე.** გაზეთების ცნობით, მოკლე ხანში კავკასიაში ჩამოვა იალტის გენერალ-გუბერნატორი ივ. დუმბაძე.

**საშუალო სასწავლებლების რევიზია.** მოკლე ხანში კავკასიის საშუალო სასწავლებელთა რევიზია მოჰხდება.

**სამართალში.** 28 ოქტომბერს ტფ. სასამართლო პალატა, წოდებათა წარმომადგენელების მონაწილეობით, გაარჩევს საქმეს ოზურგეთის მაზრის მცხოვრებ კ. ელენტისას, რომელსაც მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება ედება ბრალად. გაასამართლებენ სისხლის სამართლის მე-102 მუხლის ძალით.

**ახალი საზოგადოება.** ინჟენერის ვ. გ. საავოვის თავჯდომარეობით ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება „კულტურტრეგერი", რომლის მიზანიც იქმნება ხელი შეუწყოს ფრინველების მოშენებას კავკასიაში.

✦ 21 ოქტომბერს ხოლერით ტფილისში 46 უსასტორტო შეიპყრო.

✦ 21 ოქტომბერს ტფილისში შეიპყრეს არშაკ ხაჩატურის ძე სიმონიანცი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნებულა.

## მცირე შენიშვნა

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის კურთხევა, როგორც გადმოგვცეს ექსარხოს ინოკენტის დაუნიშნავს მომავალ კვირისათვის, ე. ი. 31 დეკემბრისთვის. ამ დღეს კურთხევაზე მოწვეული იქნებიან ხელმწიფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ და მთელი ტფილისის მაღალი წოდება. თვით ეკკლესია მშვენიერს ნიმუშს წარმოადგენს ჩვენის ქართულ ძველის ხელოვნებისას, როგორც გარედან—მოჭუქურთმულ კედლებ სანათებით და გუმბათით ისე შიგნით—ძველებურის კანკელით, რომელიც ძვირფასის მარმარილოსაგან არის ხელოვნურად გაკეთებული.

როგორც ვიცით, უკვე შარშან, აპრილში ქვაშვეთის ეკკლესიის გამგე კომიტეტმა წინადადება მისცა ტფილ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას, რომ მას ეკისრა მოემზადებინა თავისი ხორით წირვა დღესასწაულზე სავალდებულოდ დანიშნულის ფასით. როგორც გავიგეთ, გამგეობა სიამოვნებით შეეგება ამ წინადადებას და შეუდგა ხორის მზადებას სექტემბრიდან. კვირას, 24 ოქტომბერს, ეს ხორო პირველად იგალობებს მთელს წირვას თხს ხმაზე დაწერილს ზ. ფ. ფალიაშვილისაგან. ფრიად საინტერესოა, გვგონებ, ყველასთვის ახალის გუნდისა და ახალ წირვის მოსმენა. მე შემთხვევით დავესწარ ერთს რეპეტიციას, 21 ოქტომბერს, და სიუხოვო შთაბეჭდილება იქონია ჩემზე ამ გალობამ. მართლა დიდი დგაწლია ქართულის ფილარმონიული საზოგადოების გამგეობისა ასე მოკლე ხანში ამისთანა გუნდისა და ასე კარგად მომზადება.

ხორო შესდგება ქალების და ვაჟებისაგან. სულ 50-მდე მგალობელია ხოროში.

**დამსწრე.**

## პატარა ფელეტონი

### ა დ რ ე ს ი

ახლად ჩამოსული ევროპიელი გაეცნო ქართველ ინტელლიგენტს.

მთელი დღე ერთად დადიოდნენ.

ნაცნობებს მოკლებული უცხოელი და გულ-ღია, კარგი საამხანაგო ქართველი მალე დამეგობრდნენ.

განშორებისას ქართველმა ჰკითხა:

— თქვენი ადრესი?

— ტფილისში—სასტუმრო „ორიანტი". № 12; ლონდონში ქუჩა ***, № 19, მეორე სართული, სადგომი მე-6.

— აქ-კი შემოვალ და ლონდონში ნუ მიწყენთ, ჩემ მაგიერ წერილს გამოვგზავნი; ღიმილით უპასუხა ქართველმა.

— თქვენი ადრესი, ხელმწიფეო ჩემო?

მე ყოველგან მნახეთ: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, დრამატიულ საზოგადოებაში, თეატრში, რედაქციებში, ქართველ მოღვაწეთა პანაშვიდებზე, სამეურნეო ბანკში, სათავად-აზნაურო ბანკში, დეპუტატთა საკრებულოში.

— უკაცრავად, ხელმწიფეო ჩემო, მე თქვენს ბინაზე მოგახსენებდით.

— მეტეხის ციხე, სამხედრო სამსჯავროს დარბაზი, ჟანდარმთა სამართველო, სისხლის სამართლის პალატა...

— არა, ბატონო ჩემო, თქვენი სახლი?

— სახლი, სახლი... ჰმ, ჰმ—მწარედ გაიღიმა ქართველმა ინტელლიგენტმა,—გუშინ-წინ დიასახლისმა სახლიდან დამითხოვა, რადგან... ფული ვერ მომცა რედაქციამ... ხომ იცით... გუშინ ამხანაგთან წაველი ღამის გასათევად, მაგრამ დღეს დაუჭერიათ და ეხლა სწორედ არ ვიცი, სად წავიდე... სახლი, სახლი ჩვენ არა გვაქვს.....

უცხოელი სასტუმროსკენ გაუხვევს და ლოგინში ჩამობარი ჰფიქრობს: რა გვარად სცხოვრობს?.. ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე... და სამუშაო მაგიდა კი არა აქვს?! როგორ უნდა მუშაობდეს?

გრილ, მოკაშკაშებულ ღამეში მიდის ქართველი ინტელლიგენტი და ბუტბუტებს: ბედნიერი ადამიანი... იცის, რომ იქ ლონდონში მისი წერილები, გაზეთები რიგ-რიგზე აწყვია, მოუსვენლად ელის მას მილაგებული სახლი. მე კი სად დავწერო ხვალისთვის მოწინავე წერილი, სად მოვნახო ჩემი მიმოხილვა შარშანდელი წლის პოლიტიკურ ცხოვრებისა... სად არის ჩემი სახლი?!..

**ნ. ლორთქიფანიძე.**

## სოციალისტების კონგრესი მილანში.

როგორც ჩვენს გაზეთში (N 135, უცხოეთი) მოხსენებული გვქონდა, ამას წინად ქ. მილანში დასრულდა იტალიელ სოციალისტთა კონგრესი, სადაც რეფორმისტულმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა. თუ რაში გამოიხატება ეს მიმდინარეობა, სჩანს სოციალისტის ტურატის მიერ წარმოდგენილ მოხსენებიდან—„პოლიტიკური მუშაობა სოციალისტურ პარტიისა". მომხსენებელი ჰფიქრობს, რომ სოციალისტური რევოლუცია იქმნებოდა მარტოოდენ სახელწოდება უშინაარსოდ, თუ არ მომზადდა იგი პროლეტარიატის მიერ თავის კლასიურ ბრძოლისათვის ხელ-საყრელ გარემოებათა დაპყრობით. ხოლო თანამედროვე ისტორიული გარემოებანი იტალიისა ხელ-საყრელია შემდეგის ოთხის რეფორმის განხორციელებისთვის:

1) საყოველთაო საარჩევნო უფლება ორივე სქესის პირთათვის;

2) სრული შეჩერება სამხედრო ხარჯთა ზრდისა და მათი შესაძლებელე შემცირება;

3) განვითარება მუშაობისა სახელმწიფოსი, ადგილობრივ დაწესებულებათა, სოციალისტურ პარტიებისა და მუშათა ორგანიზაციებისა, რათა უფრო სავსებით დამყარებულ იქმნას „პოლიტიკური კულტურა" (?);

4) „სოციალური დაზღვევება", დაწყებული მუშათა მოხუცებულობისა და „ინვალიდობის" დაზღვევებიდან.

ამ რეფორმათა განხორციელებისათვის ბრძოლაში პარლამენტის სოციალისტთა ფრაქცია ხელ-ფეხ შეკრული არ უნდა იყოს.

მას უნდა აღფრთოვანდეს, რასაკვირველია, სოციალისტურ მოძღვრის იდეალები, მაგრამ თანაც თავისუფალი უნდა იყოს და პარტიის დირექტივები ყოველ დღე არ უნდა ჰბორკავდეს.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა ორგანიული მუშაობა. როცა კონსტიტუციური თავისუფლება არ იყო, გვიხდებოდა **დანგრევა**, და რაკი ეხლა ეს თავისუფლება გვაქვს, უნდა **შევქმნათ.** პირველმა ხანამ გაიარა, იტალია და მისი მუშათა კლასი მეორე ხანაში გადავიდეთ, ეს ხანაც რევოლუციურია, მაგრამ მისი რევოლუცია „მოძრაობაშია" და რეფორმათა დაპყრობას ლამობს. ნუ თუ ჩვენ ძალგვიძს ყოველგვარ მუშაობაზე ხელი ავიღოთ და გაბატონებულს კლასებს დავუთმოთ მთელი საქმე პროლეტარიატის აღზრდისა?

მხოლოდ ბურჟუაზიულ პარტიებთან შეკრული ბლოკები ბოროტად არ უნდა ვიხმაროთ; ამიერიდან, ხალხის მიერ პირად და საზოგადო უფლებათა მოპოვების შემდეგ, საჭირო არ არის დავიხმაროთ ბურჟუაზია, რომელიც ჩვენი ბუნებრივი მოკავშირე იყოს თავისუფლებათათვის ბრძოლაში.

ასეთია ტურატის მოხსენების არსი, რომელიც საფუძვლად დაედება იტალიის სოციალისტურ პარტიის აწინდელს მოქმედებას.

## მოწერილი ამბები

**ს. დიმი** (ქუთაისის მაზრა). მიმდინარე წლით, როგორც ამინდის, ისე მოსავლის მხრივ, ძლიერ მადლიერნი ვართ; ნამეტნავად კარგი მოსავალი მოგვცა ყურძენმა; მან ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა, რის გამოც მზად ვერ დაუხვდით, ჭურჭელი ვერ დავამზადეთ. ეს იყო მიზეზი, რომ ჭური, რომელიც ზაფხულს 10—15 მანეთი ფასობდა, შემოდგომას შეიქნა 35—40 მანეთად. ღვინის ამ ნაირმა მოსავალმა და ჩვენმა მოუმზადებლობამ ღვინის ფასი შესამჩნევად დასწია: ძველი ღვინო საპალნე (12 ფუთი) თუ 35—40 მანეთი ფასობდა და ამ ფასშიაც ვერ შოულობდნენ, ეხლა ტკბილის და მაჭრის ფასი 12 მანეთზე დაეცა და ამ ფასშიაც მყიდველი არ არის, რადგანაც ქ. ქუთაისში, თითქმის ამ ერთად-ერთ ჩვენს ღვინის ბაზარში, ეუთვლად სირაჯს დაუდგამ ყურძნის საწურავის მოწყობილობა და ამზადებს რიონის დახმარებით ბევრად უფრო იაფს ღვინოს.

პირველ ხანებში ქუთაისს ბევრი ყურძენი მიზიდეს, რამაც ყურძნის მაზანდა ფუთზე 60 კაპ. დასწია. ანანოვის აქაბდის ცარიელი სარდაფები აჯამეთსა და დიმში ყურძნით აივსო, რადგანაც აქ კადაწყვეტილი იყო ფუთი 70 კაპ. შარშან ამ სარდაფებმა ფუთზე 60 კაპ. გამოაცხადეს, მაგრამ ამ ფასეფში ყურძნის მიმცემი არავინ აღმოჩნდა, მერე ქუთაისში მაზანდამ თუმცა მანეთამდის აიწია, მაგრამ მაინც თხელდვე ინერციის ძალით დაწყებულმა დენამ როდიდა იკლო. ასე რომ ანანოვს ტყუილად დაურჩა შუამავლების დაჭერა, რომელთაც საკომისიოს მანეთზე შაურს აძლევდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეაკუდიანებდნენ და მიატანინებდნენ იმათთან ყურძენს. შუამავლები გზებში იყვნენ ჩასაფრებულნი და არავითარს შრომას არ ეწეოდნენ, მხოლოდ ეზოში შესულ ურმებს რომ დაიხახავდნენ, უკან დაედევნებოდნენ და „ნოქარს" უცხადებდნენ, ჩვენის რჩევით და შრომით მოვიდნენ აქაო და ასე იოლად ფულს დებულობდნენ, ვითომც და საკომისიოდ. ხშირად ყურძნის გამყიდველი ვერც-კი იცნობდა ვითომც და შუა მავალს, რომელიც თვალითაც არ ენახა. ძალიან კარგს იზამდა ბ. ანანოვი, რომ ეს ერთი შაური პირდაპირ ყურძნის ფასისათვის მიემატებინა,—ამით ის არაფერს იზარალებდა და საწყალ კაცს კი სამართლიანად ცოტა მეტს შესძენდა. შუამავლებმა კი, ჩემის ღრმა დაკვირვებით, ფულები ჯიბეში ტყუილ-უბრალოდ ჩაიხრიალეს და სარდაფისთვის კი არაფერი სარგებლობა არ მოუტანიათ, პირ იქით ბევრმა ქუთაისისკენ ქნა პირი, როცა გაიგო, ბ. ანანოვი ჩვენ მოსაცემ ფულს სხვას, ვიღაც გიგინდარებს აძლევსო.

ს. დიმს ჩრდილოეთით აკრავს უზარმაზარი ანანოვის ტყე, აჯამეთი, რომლითაც ზემოდ აღნიშნული სოფელს არაფრად არ შეუძლიან ისარგებლოს, რადგანაც ანანოვებმა, 1906 წლიდან დაწყებული, ძალზე შეგვავიწროვეს.—არ შეგვიძლიან ფულითაც კი ვიშოვოთ: საძოვარი, სარი, შეშა და სხვ. გზაზე მიმავალმა მეურმემ რომ ხარის გადასაკრავ სახრისთვის გადაუხვიოს ტყეში, მაშინვე დაიჭერენ და შეიძლება მეტიც უქმნას, როგორც ამის მაგალითი იყო მწიფობისთვის დამდეგს: ანანოვის ტყის მცველმა მძიმედ დასჭრა ბერდანკით თითით პავლე ჩხეიძე, რომელმაც მხოლოდ ის დანაშაული ჩაიდინა, რომ ხარის გადასაკრავი წნელის მოჭრა განიზრახა. დღეს პ. ჩხეიძე ქუთაისის საავადმყოფოში წევს, შეიძლება ხელის მოჭრაც დასჭირდეს; საქმე-კი ისე მოაწყვეს, რომ კიდევ ის გამოჰყავთ მტყუანად, ტყუილად არ არის ნათქვამი: „ძალა აღმართსა ხნავსო".

**თ. ჭყონდიდელი.**

**დ. ონი.** ონის საზოგადოებას ამ ბოლო დროს გამოუხვლევება და პროგრესი ეტყობა! ალბად ამით აიხსნება, რომ გრძნობით ეკიდებიან ყოველს წვრილმან მოვლენებსაც კი თავიანთ კერძო ცხოვრებაში. მაგალითად: ეხლახან ონის საზოგადოება (უფრო კი მისი ბრწყინვალე ნაწილი), სამგლოვიარო ძაძით მოსილი, უსაზღვრო მწუხარებაში შთანთქმული, ნაღველს ანთხევს ცხარე ცრემლებად.—დ. ონს მოსტაცეს „საუკეთესო, საყვარელი, საზოგადოების კეთილ-დღეობისათვის თავ-დადებული შრომისმოყვარე, უსამართლობასთან დაუღალავი მებრძოლი მოქალაქე, ქართველი მამულიშვილი", რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწე ფ. გ. კეიდია. ფ. გ. კეიდია დ. სენაკში გადაიყვანეს, როგორც ვიცით, ისევ იმ მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე, მისი წასვლის წინ, ზემოხსენებულმა ჯგუფმა განიზრახა „უკანასკნელ განშორების ჟამს" შესაფერად დაეფასებინა ბ. კეიდიას ორი წლის მოღვაწეობა დ. ონში და 9 ოქტომბერს გაუმართეს მას დიდებული სადილი, სადაც „უზენაესის ბახუსის" შუამავლობით უკანასკნელად შეუფიცეს ბ. კეიდიას, რომ ისინი მის შემდეგაც არ უღალატებენ, თვით სამარემდე პირნათლად ემსახურებიან მათს წმინდათა-წმინდას, ძველს ღვთაებს, ბოროტებასთან ბრძოლისასა (?!)

ვინა სთქვა, მკითხველო, რაჭა კულტურულად უკან ჩამორჩა საქართველოს სხვა ნაწილებსო?

ვნახოთ, როგორის აღტაცებით შეეგებებიან ბ. კეიდიას სენაკელები...

სწავლა-განათლებას ონელები ისე გაურბიან, როგორც თხუნელა მზის სხივებს. სამკითხველოში ქუდიც რომ შეუგდოთ, მგონი ქირით გამოატანინონ

გისმე და შესვლით კი შიგ არ შეგლენ. ან სამკითხველოს გარედ, რომ ჟურნალ-გაზეთს ხელი წაავლონ ხომ ღმერთი უწყენთ...

ნეტა როდემდის?!. **აბდიკანტი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** თანამედროვე სკოლა დიდს კრიზისს განიცდის. სკოლა, რომელიც მეცნიერების მატარებლად უნდა ჩაითვალოს, ნამდვილად სრულიად სხვა მიზნებს ემსახურება. იყო დრო, როდესაც სკოლა და მეცნიერება ორგანიულად იყვნენ დაკავშირებულნი, როდესაც სკოლა მეცნიერებისთვის არსებობდა და სპეკულიატივურ მიზნებს არ ისახავდა. ეს იყო დრო პლატონისა და არისტოტელისა. პლატონის აკადემია წმინდა ცოდნასა და აზროვნებას ემსახურებოდა, სხვა რამ მიზნები მისთვის არ არსებობდა. თანდათან სკოლა ჰკარგავდა თავის დამოუკიდებელ მნიშვნელობას და მონად ხდებოდა — ჯერ ეკლესიისა, მერე სახელმწიფოსი. საშუალო საუკუნოებში სკოლა სავსებით ეკლესიის ავტორიტეტის გავლენის ქვეშ იმყოფება და იმ მიზნების განხორციელებასა ცდილობდა, რომლებსაც ეკლესია ისახავდა.

დროთა ბრუნვამ ეკლესიას დაუკარგა თავისი სიძლიერე; მეცნიერებამ თავი გაინთავისუფლა მის კლანჭებისგან, და სკოლაც ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი გახდა. მაგრამ სრული თავისუფლება სკოლას მაინც ვერ ეღირსა: ახლა მის ბატონად სახელმწიფო გადაიქცა. სკოლას ცხოვრებამ ის მიზნები დაუსახა, რომლებსაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვდა. პედაგოგიურმა აზროვნებამ ძალიან წინ წაიწია, მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა შეიმუშავეს მშვენიერი სისტემები სწავლა-აღზრდისა, მაგრამ მათი განკყენებული მსჯელობა და იდეალური პრინციპები განუხორციელებული რჩებოდნენ, რადგანაც ცხოვრება, პრაქტიკული ცხოვრება და პედაგოგიური დისციპლინები სულ სხვა-და-სხვა თვალსაზრისით უცქერიან სკოლას.

ფილოსოფიურ პრინციპებზე აგებული პედაგოგიკა, ფსიხოლოგიურ ცოდნაზე დამყარებული სისტემები სწავლა-აღზრდის ცენტრად პიროვნებას აღიარებს; იგი მსჯელობაში იღებს პიროვნების მრავალ-ფეროვნებას და ცდილობს შეჰქმნას საუკეთესო პირობები ამ მრავალ-ფეროვნების განსავითარებლად. სახელმწიფოებრივი ინტერესები კი აიძულებს სკოლას თავისი მოქმედება პრაქტიკულ ცხოვრების ინტერესებს დაუქვემდებაროს. აქედან იბადება ანტაგონიზმი სახელმწიფოსა და პიროვნების შორის. თანამედროვე სახელმწიფოს ესაჭიროება განსაზღვრული კონტიგენტი სპეციალურ ცოდნით აღჭურვილი ახალ-გაზდობისა, იმისთვის საჭირონი არიან მოხელენი, მეზღვაურნი, სამხედრო პირნი; სახელმწიფოს რეგლამენტაცია გასაოცარის სისასტიკითა სწარმოებს, და სკოლაც ჰკარგავს იმ დამოუკიდებლობას, რომელიც აუცილებლად საჭიროა მეცნიერების თავისუფალი განვითარებისთვის. ამისთანა პირობებში პიროვნება და მისი ავტონომიური ინტერესები უყურადღებოდ არის დატოვებული. მოწაფეს ასწავლიან არა იმას, რაც მის სულიერ სალაროს გაამდიდრებს, არამედ იმას, რაც საბოლოოდ სახელმწიფოებრივ ინტერესისთვის უნდა იყოს სასარგებლო. ამას ზედ ერთვის თანამედროვე ოჯახი, ღვიძლი შვილი დღევანდელ უკუღმართ წეს-წყობილებისა. ოჯახი ფატალურად მიისწრაფვის იმ პრივილეგიების მოსაპოვებლად, რომელთაც თანამედროვე ბურჟუაზიული სკოლა ანიჭებს. ახალ-გაზდის გაღრყვნილი ფსიხიკა კი ყოველთვის ვერ ეგუება — ხოლმე ამისთანა პირობებს და აქედან იბადება უთანხმოება, ანტაგონიზმი.

ამ საერთო სენს, რომელიც საზოგადო უკუღმართობის ლოღიკურ დასკვნად უნდა ჩაითვალოს, ზედ ერთვის მოუმზადებლობა და სიდუხჭირე იმათი, რომელნიც სწავლა-აღზრდის საქმეს განაგებენ. ფორმალიზმი, პედანტიზმი, სრული უყურადღებობა ყმაწვილის სულიერ ცხოვრებისადმი ხელს უწყობენ ამ ანტაგონიზმის გაღრმავებას.

„ნიშანი ყოფა-ქცევაში", დრამა ადოლფ — შვაიერისა, რომელიც ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, წარმოადგინეს ქართულს თეატრში, ამ ანტაგონიზმს გვიხატავს. ლეონარდ ულლერი (ბ-ნი არადელი) დიდი მოხელეა და სურს შვილიც ისეთსავე მოხელედ გამოიყვანოს, რანაირიც თვითონ არის. იგი მეტზედაც ოცნებობს. მამაჩემზე უკეთესი მე ვარ. და ჩემი შვილი ჩემზე უკეთესი უნდა იყოსო.

უკეთესობა ლეონარდ ულლერს მოხელეობაში წარმატება მიაჩნია. შვილი ფელიქსი (ბ-ნი ნ. გვარამძე) მამის იმედებს ვერ ამართლებს. მას სულ სხვა მიზნები აღფრთოვანებს; იგი ძალიან ადრე განვითარდა, და დაიწყო დამოუკიდებლად ფიქრი, ადრე მიხვდა ცხოვრების სიდუხჭირეს. განვითარებულ ყმაწვილზე საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს მოშხამული ატმოსფერა სკოლისა და ოჯახისა. სკოლაში საშინელი უგულობა, სიბრიყვემდე მისული ფორმალიზმი, ოჯახში მამის სისასტიკე ცემა და ადამიანურ ღირსების შეზღუდვა, ყველა ეს უკიდურეს სასოწარკვეთილებაში აგდებს ახალგაზდა ფელიქს. დედა ფელიქსის (ქ. ნ. ჯავახიშვილი). სუსტი და ნების-ყოფას მოკლებული არსებაა. იგი დედობას ვერ უწევს შვილს, რადგანაც ქმარს დამონებული ჰყავს. დედის ალერსსაც მოკლებული ფელიქსი ვერსად გასახარელს ვერა ხედავს. დედა და შვილი დაშორებულნი არიან, მათ ერთმანეთისა არაფერი ესმით. ბოლოს ერთმანეთს წყლულს მოუხვდებიან, დედასა და შვილის შორის ჩატეხილი ხიდი უნდა გამთელებულიყო, მაგრამ ბედმა ფელიქსს ეს იმედიც დაუკარგა: დედა ავად ხდება და კვდება. ფელიქსს ამ უკანასკნელ უბედურებას ვეღარ უძლებს და თავს იკლავს.

დრამა საკმაო სიძლიერითაა დაწერილი. სკოლის მოუწყობლობა და ამ მოუწყობლობისგან გამოწვეული ტანჯვა ახალ-გაზდა კაცისა იმდენად თანამედროვე თემაა, რომ მაყურებელზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენს; და მას აღმზრდელობითი მნიშვნელობაცაა აქვს. მართალია ძლიერი ფსიხოლოგიური მომენტები პიესაში არ არის, ისაც მართალია, რომ პიესას ცოტაოდენად სენტიმენტალური ელფერი გადაჰკრავს, მაგრამ სულიერი ტანჯვა მოსწავლისა იმდენად საყურადღებო თემაა, რომ ყოველ-გვარი ცდა ამ სულიერ ცხოვრების გადმოსაცემად სიამოვნებით უნდა იყოს აღნიშნული.

ჩვენმა დასმა პიესა გასაოცარის ანსამბლით წარმოადგინა. ხუთშაბათის წარმოდგენამ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ შრომას და ენერგიას ყოველგვარი სიძნელე შეუძლიან სძლიოს. საყურადღებოა ისიც, რომ ამ პიესაში თითქმის ყველა ახალ გაზრდა მსახიობნი იღებდნენ მონაწილეობას და ყველანი ძალიან კარგები იყვნენ, ჩვენს სცენას ყოველთვის ანსამბლი აკლდა ხოლმე და ეს ნაკლი ეხლა სავსებით თავიდან აიცდინეს. ძალა პიესის შესრულებისა სწორედ საერთო კარგს შესრულებაში იყო და ამიტომ კერძო მოთამაშეთა შესახებ ბევრი ვერაფერი ითქმის. არ შეგვიძლიან მხოლოდ არ აღვნიშნოთ მშვენიერი, მოხდენილი თამაშობა ბ-ნ არადიელის მეტის-მეტი მშვენიერი ხმა, რომელიც გასაოცრად უხალისებს მაყურებელს სმენას, ნამდვილი ქართული, დიქცია, დაკვირვებული გამოზომილი თამაში ბ-ნ არადელისა ფრიად კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა. ლეონარდ ულლესის სიმკაცრე, გულ-ზვიადობა ისეთის გონებრივობით და ამასთანავე ისეთის სიძლიერით გადმოგვცა ბ-ნმა არადელმა, რომ უკეთეს შესრულებას ვერც კი მოვითხოვთ. ბ-ნ არადიელის თამაშობამ მართლაც დაგვავიწყა, რომ მას სცენაზე ვხედავდით; მის თამაშობას სინამდვილეში გადაჰყავდა მაყურებელი. ასეთს ბუნებრივსა და სადა თამაშობას ჩვენი სცენა ჩვეული არ არის.

სხვა მოთამაშენიც, როგორც ზევითაცა ვსთქვით, ერთსულოვნად თამაშობდნენ ძალიან კარგი იყო ბ-ნი გვარამძე, რომელმაც სულიერი ტანჯვა ახალგაზდა მოსწავლისა საკმაო სიძლიერით დაგვიხატა. მშვენიერად ჩაატარეს სცენა პედაგოგიურ საბჭოს კრებისა. ხელოვნურად გაკეთებული გრიმებიც სრულს ილიუზიასა ჰქმნიდნენ. საზოგადოდ პიესამ ძალიან სწყობრად ჩაიარა, და ჩვენც სხვა აღარა დაგვრჩენია რა, რომ ვუსურვოთ ახალ გაზდა მუშაკთ ქართულ სცენისას ამავე გზით სიარული.

**P. S.** წარმოდგენის დაწყებამდე გამოაცხადეს, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ბ-ნ ვლ. მესხიშვილის მაგივრად დირექტორის როლს ბ-ნი ვ. გუნია შეასრულებსო. ამ ცვლილებამ პიესის შესრულებას არაფერი დააკლო, მაგრამ ჩვენ მაინც საინტერესოდ მიგვაჩნია იმის გაგება, თუ რა მიზეზით განაცხადა უარი თამაშობაზე ბ-ნა მესხიშვილმა. **Homo.**

# უცხოეთი

**რევოლუცია პორტუგალიაში.**

გაზეთებმა ანკეტი მოახდინეს მკითხველთა შორის იმის შესახებ, თუ რა საფუძველნი უნდა დაუდოს დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუციას. მკითხველთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს მიეცეს ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტისებური უფლება, რომლითაც შეეძლება მინისტრთა კაბინეტი თვით აირჩიოს.

ლისაბონიდან მიღებულ ცნობებით, ახალ მთავრობას შესაძლებლად უცვნია ცოლქმართა განქორწინება ამიერიდან სამოქალაქო წესით მოჰხდეს.

ახალ მთავრობას კერძო ბაასის დროს, სოციალისტების ჟვის განუცხადებია, რომ ის წინააღმდეგი არ არის გაფიცვის თავისუფლებისა.

ჩვენში მიღებულ ცნობებით, ახალ მთავრობას აღმოუჩენია შეთქმულობა რესპუბლიკის წინააღმდეგ. შეუპყრიათ ბევრი ოფიცერი და არისტოკრატი.

**ინგლისის ფედერალიზაცია.**

ამას წინად დაარსებულმა შოტლანდიის ნაციონალურმა კომიტეტმა, რომელშიაც შედიან პარლამენტის წევრები, გამოჩენილი სწავლულნი, ლიტერატორნი და საზოგადო მოღვაწენი, 15 ოქტომბერს შეერთებულ სამეფოს მიმართ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც შოტლანდიის ჰომრულს (ავტონომიას) თხოულობს.

პრესასა და მინისტრებზე გაცხარებით არკვევენ დიდ ბრიტანიის იმპერიის ფედერალიზაციის საკითხს.

**აზეფი ბერლინში.**

ცნობილი პროვოკატორი აზეფი, რომელიც აქამდე ბრიუსელში იმყოფებოდა, 16 ოქტომბერს ორის მეგობრით ბერლინში წასულა.

**არეულობა პარიზის დეპუტატთა პალატაში.**

როგორც დეპეშებიდანაც ვიცით, 16 ოქტომბერს დეპუტატთა პალატის სხდომაზე ერთი ალიაქოთი და არეულობა მოჰხდა. სოციალისტმა ორატორება საყვედურით მიმართეს მთავრობას, გაფიცვის დროს თქვენ აშკარად მხარს უჭერდით რკინის გზის კომპანიებს და ამითი პარლამენტს პასუხის მგებლად ჰხდიდით გამოწვეულ კრიზისის წინაშეო. ბრიანმა ჟორესის სიტყვის პასუხად, სხვათა შორის, განაცხადა, მე მივმართავდი უკანონო ზომებსაც კი, ოღონდ გაფიცვა ჩამექრიოო. ამის შემდეგ ასტყდა ყვირილი. სხდომა შესწყდა და ბრიანი მცველების თანხლებით გავიდა დარბაზიდან. მემარცხენეებმა იგი სტვენით გააცილეს.

**ნიაღვარი იტალიაში.**

16 ოქტომბერს, როგორც რომიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ნეაპოლში ისეთი დიდი წვიმა მოსულა, რომ ყველაფერი გაუფუჭებია. მინისტრს საკის დაუნიშნავს საგანგებო სატეხნიკო კომისია, რომელმაც ზომები უნდა შეიმუშაოს მოსალოდნელ წყალდიდობისგან თავ-დასაცველად. წყალდიდობისაგან საბრძოლველად მეფე ვიქტორ-ემანუილის 50.000 ლირა შეუწირავს. მეფემ წელს ამ საქმისათვის საკუთარის ფულიდან სულ ნახევარ — მილიონი ლირა გადასდო.

# რუსეთი

**ჩვენების ჩამორთმევა.**

პეტერბურგის სასამართლოს გამომძიებელს, გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ჯაგეჭყორისთვის ჩვენება ჩამოურთმევია მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის კარავაევის მოკვლის საქმის შესახებ.

**სამინისტროების უთანხმოება.**

ფინანსთა და გზათა სამინისტროებს უთანხმოება მოსვლიათ ვლადივოსტოკის რკინის გზის გამოსყიდვის საკითხის გამო. რუხლოვას აზრით, საჭიროა ამ გზის გამოსყიდვა რითა რკინის გზების საერთო საქმე ერთხელვე წესიერად მოეწყოს.

**სახელმწიფო სათათბიროში**

სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატებს გადაუწყვეტიათ თავად ვოლკონსკის ხატი მიართვან იმის გამო, რომ სათათბირო წინადადება არ მისცა პატივი ეცა ფეხზე ადგომით მურომცევის ხსოვნისათვის.

**უქმე დღეების შემცირება.**

სახელმწიფო საბჭოს მიერ შედგენილი კანონპროექტი რუსეთში უქმე დღეების რიცხვის შემცირების შესახებ წარსულს ხაფხულს მინისტრთა საბჭოს განუხილავს და ის აზრი გამოუთქვამს, რომ ასეთ კანონ-პროექტის შემუშავება სამოქალაქო მთავრობისთვის უხერხულია და ამიტომ საჭიროა გადაეცეს უწ. სინოდსაო.

# განცხადებანი


## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
**ბ. გ. ბგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**თ. ვ. ვეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—207)

## გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც — პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც)

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—5)

## გთხოვთ დარწმუნდეთ

რომ იაფი და საუკეთესო ხარისხის საათები, ოქროსი და ვერცხლის ნივთები შეგიძლიანთ იყიდოთ მხოლოდ

**ა. ი. გოლდშტეინთან,**

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. (5—166—1)

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გოროხის ქ., № 9. (ვ)

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარ ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული"

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და ცუდიანი ვარსკვლავი» — ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები». — ზღაპარი ევალდისა; 3. „თერმეტი" — და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა — სამი მანეთი; **საზღვარ-გარედ:** წლიურად — შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი — სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი — სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში.** „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).




**მ ო ი თ ხ ო ვ ე თ**

## სწორე და მკვიდრი საათები!

ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი ხაზურავით «ს ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| | |
|---|---|
| ПАРИЖЪ 7 PARIS | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.
(Мецль N 53647). (34—15—9)

## ტფილისის კანტორა

— აუწყებს ბ.ბ. მსყიდველებს, რომ გავხსენით შაქრის სავაჭრო —

## ხარკოვის ამხანაგობისა შაქარ-რაფინადის ქარხნისა

ა დ რ ე ს ი: ტფილისი, ფრეილინის ქ. სახლი № 3, ტელეფონი 567. საწყობი ველიამინის ქუჩაზე, სახლი № 12. **ა. ზ. სნეჟკოვი.** (10—144—6)

## ქირავდება კარგად მოწყობილი პადვალი

ქალაქ ტფილისში, სუდებნის ქუჩაზე, მაისურაძის სახლში N 6.

**კარგად მოწყობილი, კუხნით, ღვინის სარდაფით,**

და ერთი ოთახით. პადვალი სუფთა და დიდია, თავის ავეჯების შესყიდვით. მსურველს შეუძლიან პირობების გაგება ამავე სახლში მოვაჭრე სპირიდონ კაციტაძის მაღაზიაში. (3—168—1)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზია

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა). ხიზილალა**

ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)**

**და წითელი ხიზილალა (Кетовая).** (წ.—128—12)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა — საუკეთესო თევზეული (Кетовая) ხიზილალა

## გაფრთხილება

რადგან **სპერმინ-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო". ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეებად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ქლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს **„სპერმინ-პელს"** და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი** ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ. рганотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 88456). (8—23—4)


სტამბა „ხინაძლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ ხონელიძე (?)